განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ციფრული მენეჯმენტი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შეფასებისთარიღი
27.08.2020
დასკვნის წარდგენის თარიღი
15.09.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მენეჯმენტი
განათლებისსაფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0413 მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტებისრაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, სს სადაზღვევო კომპანია იმედი L, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ხეცურიანი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისშემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა - ციფრული მენეჯმენტი ახალი პროგრამაა. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულიაციფრული მენეჯმენტის მიმართულებით მაგისტრებისათვის ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემაზე. პროგრამას გააჩნია სამი ძირითადი საკვანძო მიზანი: 1. შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ციფრული მენეჯმენტის მოდელების, სტრატეგიებისა და სისტემების შესახებ და გამოუმუშავოს ციფრული ტრანსფორმაციის პირობებშიკრეატიული მენეჯერული გადაწყვეტილებების უნარი. 2. გამოუმუშავოს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ლიდერობის, ციფრული ცვლილებების პროცესების ანალიზის, ინოვაციური იდეების გენერირების, ციფრული ბიზნეს მოდელის დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების პრაქტიკული უნარები. 3. გამოუმუშავოს მულტიდისციპლინურ გარემოში, თანამედროვეციფრული გამოწვევების იდენტიფიცირების, კვლევისა და საკუთარი სწავლის პროცესების დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში მენეჯმენტის საშუალო და უმაღლეს რგოლში ან დაიკავოს მაღალი პოზიციები საჯარო სექტორში. კურსდამთავრებულები, ასევე შეძლებენ განახორციელონ კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა.

საგანმანათლებლოპროგრამაშიგამოყენებულიამაგისტრატურის საფეხურისათვის შესაფერისიაპრობირებულიმეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. იგი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია, პრეზენტაცია (პროექტი/საშინაო დავალება), ტესტი, ქეისის განხილვა და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სილაბუსებში დაკონკრეტებულია კურსების შესაბამისი მეთოდები და აქტივობები. სტუდენტის შეფასების ფორმად განსაზღვრულია შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება. შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, სავალდებულო სასწავლო კომპონენტია 70 (ECTS) კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები 20 (ECTS) კრედიტი, პრაქტიკა 10 (ECTS) კრედიტი, კვლევითი კომპონენტი 20 (ECTS) კრედიტი. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხი. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა 2 წელია, რომელიც მთლიანობაში შეადგენს 4 სემესტრს. პროგრამის

განხორციელებაში ჩართულია სულ 18 აკადემიური პერსონალი, 7 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 7 მოწვეული.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სამაგისტრო პროგრამის ციფრული მენეჯმენტი, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელდა 2020 წლის 27აგვისტოს.დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით შედგა ყველა დაგეგმილი შეხვედრა.კერძოდ, დაწესებულების ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრების დასასრულს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმადოკუმენტაციის გაანალიზების და ვიზიტის შედეგად პროგრამის შესახებ ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებებიგააცნო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვლეული დოკუმენტების და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ჯგუფმა დაადგინა სამაგისტრო პროგრამა ციფრული მენეჯმენტი აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. კერძოდ, სტანდარტი I - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტი II - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა, მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. სტანდარტი III - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტი IV - სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტი V - სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამას ,,ციფრული მენეჯმენტი“ წინაპირობად განესაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.

რეკომენდებულია კვლევის მეთოდები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსად, რაც ხელს შეუწყობს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას.

რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში დაკორექტირდეს კურსებზე დაშვების წინაპირობები.

რეკომენდებულია დაზუსტდეს კვლევით კომპონენტზე სამაგისტრო ნაშრომზე, დაშვების წინაპირობა.

რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაშისავალდებულო კურსების ნაწილში გაითვალისწინოს პროგრამული პაკეტები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მიზანშეწონილია არჩევითი კურსის სახით სტუდენტებისათვის შეთავაზებულ იქნას ,,დარგობრივი უცხო ენა“.

მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში (შემთხვევის ანალიზი I მენეჯმენტი, შემთხვევის ანალიზი II მეწარმეობა, შემთხვევის ანალიზი III) გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურის ნუსხა.

სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები ციფრული პროფილით მომუშავე ორგანიზაციებთან.

მიზანშეწონილია დაზუსტდეს, პროგრამის სტრუქტურაში შემავალ ცალკეულ სასწავლო კურსებში (მაგალითად, ციფრული ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი, ციფრული ტრანსფორმაცია, ორგანიზაციის მართვა) კონკრეტული აქტივობის შეფასების ბიჯი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაციფრული მენეჯმენტი ფოკუსირებულია სამ ძირითად მიზანზე: 1. შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ციფრული მენეჯმენტის მოდელების, სტრატეგიებისა და სისტემების შესახებ და გამოუმუშავოს ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში კრეატიული მენეჯერული გადაწყვეტილებების უნარი. 2. გამოუმუშავოს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ლიდერობის, ციფრული ცვლილებების პროცესების ანალიზის, ინოვაციური იდეების გენერირების, ციფრული ბიზნეს მოდელის დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების პრაქტიკული უნარები. 3. გამოუმუშავოს მულტიდისციპლინურ გარემოში, თანამედროვე ციფრული გამოწვევების იდენტიფიცირების, კვლევისა და საკუთარი სწავლის პროცესების დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში, მენეჯმენტის საშუალო და უმაღლეს რგოლში ან დაიკავოს მაღალი პოზიციები საჯარო სექტორში. ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ განახორციელონ კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა. სამაგისტრო პროგრამა არის გაცვლითი, რომელიც ხორციელდება პარტნიორ ფრესენიუსის უნივერსიტეტთან (გერმანია) თანამშრომლობით. საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურენოვანია, შესაბამისად სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომლის ინტენსიურად გამოყენება ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერისტეტის მისიასთან.

უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა, შესაბამისად პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის ტენდენციებიც. საგანმანათლებლო პროგრამა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ ხელშეკრულება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და ფრესენიუსის უნივერსიტეტს შორის; ○ უნივერსიტეტისვებ–გვერდიhttp://eeu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ციფრული მენეჯმენტი,მთლიანობაში უზრუნველყოფს რვა სწავლის შედეგზე გასვლას. პროგრამის სწავლის შედეგებში დეტალურად არის აღწერილი ცოდნის, უნარების, ავტონომიურობის ან/და პასუხისმგებლობის კონტექსტში ის შედეგები, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, პროგრამაში მენეჯმენტის კონტექსტში გათვალისწინებულია ციფრული მეწარმეობის, ციფრული ეკონომიკის, ციფრული ინოვაციების და ა.შ. საკითხები.კურსდამთავრებულს შეუძლია ციფრული მენეჯმენტის მოდელების, მიდგომების და სისტემების აღწერა, სტარტაპების ფორმირების და ტექნოლოგიური განვითარების საკითხებზე მსჯელობა. ასევე, ციფრული ბაზრების ფუნქციონირების მექანიზმების სისტემურად შეფასება. ციფრული მეწარმეობის, ციფრული მარკეტინგული სტრატეგიების, ლიდერობის, ციფრული ინოვაციების თვალსაზრისით სცენარების ფორმირება. გარდა ამისა, კურსდამთავრებულს შეეძლება შეიმუშავოს ციფრული გამოწვევების პირობებში ელექტრონული ბიზნესის განვითარების სტრატეგია. სწავლის შედეგები მოიცავს კვლევითი და მეთოდოლოგიური კუთხით პროგრამაში გათვალისწინებულ საკითხებს. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. მთლიანობაში სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებით განსაზღვრულ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებას, რაც მნიშვნელოვანი ინდიკატორია იმისა, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების გზამკვლევი რომელშიც აღწერილია კურიკულუმის შედგენის მეთოდები და განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები. პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა, სავალდებულო სასწავლო კურსების, სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების და სწავლის შედეგების რუკა, სავალდებული სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების რუკა. რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დასტურდება პროცესებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები. საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული

ტენდენციების შეფასებას (შრომის ბაზრის კვლევა), რომელშიც გათვალისწინებულია პარტნიორი ფრესენიუსის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ პროგრამის სამიზნე ნიშნულები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; ○ ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ გამოკითხვის შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	√			

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ციფრული მენეჯმენტი განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შეუძლია ბაკალავრიატის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას. საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებულად ჩაბარების შემთხვევაში კანდიდატი რეგისტრირდება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე, რაც მოიცავს ორ ძირითად ეტაპს: გასაუბრებას შესარჩევ კომისიასთან და ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობას მიანიჭებს კანდიდატს, რომელსაც აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. უცხო ენაში გამოცდა ბარდება ტესტირების საფუძველზე, ენის კომპეტენციად განსაზღვრულია ALTEB2 დონე. უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ALTEB2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ასევე, კანდიდატი რომელსაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსი.

დაწესებულებას დაკონკრეტებული აქვს ALTEB2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა: TOEFL PBT - არანაკლებ 513 ქულა; TOEFL IBT- არანაკლებ 65 ქულა; IELTS - არანაკლებ 5.5 ქულა; ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) – ცოდნის დონე: არანაკლებ FCE. სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია მობილობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას განსაზღვრული აქვს წინაპირობებიმისი სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამაგისტრო პროგრამას წინაპირობად განესაზღვროს გამოცდა სპეციალობაში. ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს კანდიდატის საბაზისო ცოდნის შემოწმებას, შესაბამისად იგი გარკვეულწილად განსაზღვრავს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. პროგრამის დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროა და იგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ უნივერსიტეტისვებ–გვერდიhttp://eeu.edu.ge
რეკომენდაციები: რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამას ,,ციფრული მენეჯმენტი“ წინაპირობად განესაზღვროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი. რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა აგებულია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად.პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა და შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ციფრული მენეჯმენტის მოცულობაა 120 კრედიტი. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს ოთხ სემესტრს. კრედიტები განაწილებულია შემდეგი სახით: სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი, პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი 20 კრედიტი.პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, რომელიც ერთი მხრივ, ეყრდნობა ქართული ბაზრის კვლევას, ხოლო მეორე მხრივ, პარტნიორი ფრესენიუსის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ კვლევის შედეგებს. როგორც ინტერვიუს შედეგად ირკვევა, პროგრამის სტრუქტურაზე იმუშავა პროგრამის განვითარების ჯგუფმა რომელშიც მონაწილეობას იღებდა ქართველი და გერმანელი პროფესორები, ასევე პროცესში ჩართული იყო დამსაქმებლები და სტუდენტი.

პროგრამაში გათვალისწინებულია კურსები, რომელიც ფოკუსირებულია ციფრული

მენეჯმენტის, ზოგადი მენეჯმენტის და უმაღლესი მენეჯმენტის საკითხებზე. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სასწავლო გეგმაში კვლევით კომპონენტად წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომი 20 კრედიტის მოცულობით. ხოლო პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებში კვლევის მეთოდები 5 კრედიტი. პროგრამაში კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისათვის რეკომენდებულია კვლევის მეთოდები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო დისციპლინად, რაც ხელს შეუწყობს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით სტუდენტების კონკრეტული უნარების განვითარებას.პროგრამას განსაზღვრული აქვს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები, თუმცა გარკვეულ სასწავლო კურსებში (მაგალითად, ციფრული მედია, ციფრული ტრანსფორმაცია, ფინანსური მენეჯმენტი, ორგანიზაციის მართვა) მიზანშეწონილია გადაიხედოს კურსზე დაშვების წინაპირობა. ასევე, ვინაიდან სასწავლო კურსი შემთხვევის ანალიზი III სასწავლოს გეგმის მიხედვით შეთავაზებულია მეოთხე სემესტრში, რეკომენდებულია დაზუსტდეს კვლევით კომპონენტზე სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა.ასევე, სასურველია პროგრამაში არჩევითი კურსის სახით შეთავაზებულ იქნას ,,დარგობრივი უცხო ენა“, ეს კომპონენტი განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც არ ექნებათ ბიზნესის მიმართულების პროფილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ ფაკულტეტის სტუდენტებთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია კვლევის მეთოდები განისაზღვროს სავალდებულო სასწავლო კურსად, რაც ხელს შეუწყობს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას.

რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის სასწავლო გეგმაში

დაკორექტირდეს კურსებზე დაშვების წინაპირობები. რეკომენდებულია დაზუსტდეს კვლევით კომპონენტზე სამაგისტრო ნაშრომზე, დაშვების წინაპირობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია არჩევითი კურსის სახით სტუდენტებისათვის შეთავაზებულ იქნას ,,დარგობრივი უცხო ენა“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთანავე, სასწავლო კურსის შინაარსი ადეკვატურია სამაგისტრო საფეხურის სწავლების დონესთან.სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსის კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა

უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა არის უახლესი და სასწავლო კურსების შინაარსთან შესაბამისი. პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. პროგრამაში სასწავლო კურსები 5 კრედიტიანია, შეიძლება ითქვას რომ არსებული დატვირთვის პირობებში სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არის მიღწევადი. უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილია დაზუსტდეს პროგრამის სტრუქტურაში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსებში (მაგალითად, ციფრული ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი, ციფრული ტრანსფორმაცია, ორგანიზაციის მართვა) კონკრეტული აქტივობის შეფასების ბიჯი. პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაში გაითვალისწინოს პრაქტიკული ციფრული უნარების განმავითარებელი პროგრამული პაკეტები (მაგალითად, ERP და CRM სისტემები), რომელიც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში. სასწავლო კურსების სილაბუსებში: შემთხვევის ანალიზი I მენეჯმენტი, შემთხვევის ანალიზი II მეწარმეობა, შემთხვევის ანალიზი III ბიზნეს გეგმა, მიზანშეწონილია გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურის ნუსხა, რადგან ზოგიერთ წყაროსთან მიმართებით გამოყენებულია იდენტური სასწავლო ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაშისავალდებულო კურსების ნაწილში გაითვალისწინოს პროგრამული პაკეტები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული ციფრული უნარების განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასწავლო კურსების სილაბუსებში (შემთხვევის ანალიზი I მენეჯმენტი, შემთხვევის ანალიზი II მეწარმეობა, შემთხვევის ანალიზი III) რეკომენდებულია გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურის ნუსხა. მიზანშეწონილია დაზუსტდეს, პროგრამის სტრუქტურაში შემავალ ცალკეულ სასწავლო კურსებში (მაგალითად, ციფრული ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი, ციფრული ტრანსფორმაცია, ორგანიზაციის მართვა) კონკრეტული აქტივობის შეფასების ბიჯი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებულია აქტივობები რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პროექტის, პრეზენტაციის, პრაქტიკული ქეისებით სწავლების კომპონენტები. რაც ცხადია, ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კონტექსტში. პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია 10 კრედიტის მოცულობით პრაქტიკული კომპონენტი. ასევე, სტუდენტებს საშუალება აქვთ გაფორმებული

მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებში. ამ კუთხით მიზანშეწონილია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააქტიუროს მუშაობა ციფრული მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან. პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ახალი ცოდნის ტრანსფერს, რაც ბუნებრივია პოზიტიურად აისახება პროგრამის გრძელვადიან დინამიკაში განვითარებაზე და მდგრადობაზე. პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად არის გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომი (20 კრედიტი), რომლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას და სხვადასხვა კურსებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები ციფრული პროფილით მომუშავე ორგანიზაციებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამაში გამოიყენება პროგრამის პროფილის შესაბამისი მეთოდები (ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა და ა.შ.). სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებულია კონკრეტული აქტივობები: დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, ტესტი, პროექტების პრეზენტაცია, გონებრივი იერიში და ა.შ უნდა აღინიშნოს, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები ლოგიკურადაა გამოყენებული სასწავლო კურსებში. იგი შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან და უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო კურსების, სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების და სწავლის შედეგების რუკა, რაც საშუალებას იძლევა სისტემურად შეფასდეს კონკრეტულ სასწავლო კურსებში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი პროცედურების მიხედვით, იგი გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისია. სამაგისტრო პროგრამაში შემავალ ყველა კომპონენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის პროგრამაში გათვალისწინებულია შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი 100 ქულაა. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასები სმეთოდებთან დაკავშირებით. შეფასების წესი ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს. სასწავლო კურსების შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან

უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესისმართვისელექტრონულიპლატფორმა; ○ გაფორმებული ურთიერთანამშრომლობისმემორანდუმები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებით ხდება სტუდენტთან კომუნიკაცია, სასწავლო კურსების, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების შეთავაზება, უკუკავშირი სასწავლოკო მპონენტის ხელმძღვანელებთან. სისტემაში აისახება შუალედური და დასკვნითი შეფასებები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება გულისხმობს საორიენტაციო შეხვედრებს; სტუდენტების ჩართვას საინფორმაციო ქსელში, პროგრამის კოორდინატორის თანამშრომლობას სტუდენტებთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, ელ-ფოსტა, სატელეფონო შეტყობინება. გარდა ამისა, როგორც პროგრამის ხემლძღვანელებთან ინტერვიუში გამოიკვეთა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა კონსულტაციისათვის და სხვა ინფორმაციის მოპოვების მიზნით გამოიყენოს ,,ონლაინ ჩატი“. ასევე, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გზამკვლევი სტუდენტებისთვის, პროგრამის კატალოგი, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტების ინფორმირების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს განსაზღვრული აქვს საკონსულტაციო საათები, შესაბამისად სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ საკონსულტაციო მომსახურებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ ინტერვიუპროგრამისხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუმომიჯნავე პროგრამისსტუდენტებთან; ○ უნივერსიტეტისვებგვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა ხორციელდება კვალიფიციური პერსონალის მიერ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესი. რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კვლევითი კომპონენტის შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურები. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის განმახორციელებელი როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით სამეცნიერო გამოცდილება და პუბლიკაციები. აღნიშნული წესის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ყავდეს თანახელმძღვანელი. ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და ტექნიკური პარამეტრები. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება სპეციალურად შექმნილი კომისიის წინაშე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესი; ○ პირადი საქმეები; ○ ინტერვიუებიპროგრამისხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღ წევები, მათთანინდივი დუალურიმუშა ობა	√			

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ახალია. როგორც განსაზღვრულია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 18 პერსონალი, მათ შორის 11 აკადემიური და 7 მოწვეული პერსონალი. 11 აკადემიური პერსონალიდან 6 არის უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი. აკადემიური პერსონალის უმრავლესობას გააჩნია მდიდარი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციაც დასტურდება მათი რეზიუმეების შეწავლის შედეგად. პროგრამა თავისი სტრუქტურით და შინაარსით ახალია და თანამედროვე ციფრულ სამყაროზეა მორგებული, ამასთანავე ხორციელდება გერმანულ ფრესენიუსის უნივერსიტეტთან პარტნიორობით, ამიტომ შერჩეული პერსონალიც დიდი ენთუზიაზმით და ინტერესით ელოდება პროგრამის განხორციელების დაწყებას. პროგრამას ყავს სამი ხელმძღვანელი, სამივე მათგანი გამოირჩევა აკადემიური და პროფესიული გამოცდილებით, აღსანიშნავია რომ პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელია პარტნიორი ფრესენიუსის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების დეკანი, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული პროგრამის ხარისხიანად განხორციელებაში და კოლეგა ქართველ თანახელმძღვანელებს აქტიურად უზიარებს საკუთარ გამოცდილებას. პროგრამის განხორციელბაში ჩართულია 57 ადმინისტრაციული და 9 დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ციფრული მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ახალია, მაგრამ აკადემიური პერსონალის უმრავლესობა არის უნივერისტეტის აფილირებული პერსონალი, მოწვეულ პერსონალსაც აქვს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება, შესაბამისად ამ შემთხვევაში მათ გაგვიზიარეს ის ღონისძიებები რასაც უსდ უკვე არსებული პროგრამების შემთხვევაში ახორციელებს პერსონალის განვითარების მიზნით. უსდ რეგულარულად აორგანიზებს პერსონალის პროფესიული უნარების განვითარების ტრენინგებს, როგორც ქართველი ასევე უცხოელი პროფესიონალი ტრენერების მეშვეობით. უსდ-ს აქვს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წესი, სადაც განსაზღვრულია შესაბამისი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი განიხილავს პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსებას. აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კვლევების დაფინანსების სქემა პერსონალის საქმიანობისა და დატვირთვის შესაბამისად. პროგრამის გერმანელი თანახელმძღვანელი უკვე 2 ჯერ იმყოფებოდა საქართველოში და

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გაუზიარა თავისი გამოცდილება.ფაკულტეტის ბიუჯეტში დეტალურად არის წარმოდგენილი ის ხარჯები რასაც უნივერსიტეტი ხარჯავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურთან; ○ პროგრამისბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში უნივერსიტეტი იყენებს შესაბამის ინფრასტრუქტურას. უნივერსიტეტისადმინისტრაციამ უკვე შეიძინა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა ძირითადი ლიტერატურა, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან. სტუდენტები სემესტრის დასაწყისში გაივლიან ტრენინგებს ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს ახალ კამპუსში გადასვლა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე სასწავლო, საბიბლიოთეკო და რეკრეაციული სივრცეებითა და ინვენტარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასებისანგარიში; ○ მატერიალურისასწავლორესურსებისდათვალიერება; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მიერ წარმოდგენილია ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი შემოსავალის მიღების წყაროები და შესაბამისი ხარჯები მუხლობრივად არის გაშლილი. უსდ-ს ადმინისტრაცია აქტიურად გეგმავს პროგრამის მარკეტინგულ კამპანიას და სრულ მზაობას გამოთქვამს გაიღოს პროგრამის დაწყებისთვის და განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასებისანგარიში; ○ უსდ-ს ადმინისტრაციასთანინტერვიუსშედეგები; ○ პროგრამისბიუჯეტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	√			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარემიდგომის სისტემურ გამოყენებას. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციული თვალსაზრისით პასუხისმგებელი დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურია, რომელიც კოორდინირებას უწევს ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს. ვინაიდან პროგრამა ახალია და იგი აგებულია პარტნიორი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამის შემუშავების ჯგუფმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით უზრუნველყო აკრედიტაციის სტანდარტებთან თავსებადობის პროცესი. ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა გერმანელი პარტნიორები. ასევე, მთლიანობაში თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებსაც განსაზღვრული ქონდათ კონკრეტული მოვალეობები და ამოცანები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა კვლევების განხორციელებისათვის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იყენებს კვლევის როგორც რაოდენობრივ, ასევე, თვისებრივ ტექნიკას. რომელიც საშუალებას იძლევა, მოხდეს პროცესებზე ობიექტური მონიტორინგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; ○ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი; ○ ელექტრონულისწავლებისშიდახარისხისუზრუნველყოფისმექანიზმებიდაპროცედურები; ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს. უნივერსიტეტი გარე შეფასების მექანიზმად განიხილავს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ექსპერტებს. ამ პროცესში ციფრული მენეჯმენტის კონტექსტში გარკვეულწილად ჩართულია პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენლები. უნივერსიტეტი პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად ასევე იყენებს შრომის ბაზრის კვლევასა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზს. ანალიზის შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და დახვეწის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; ○ ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან; ○ შრომის ბაზრის კვლევის შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამის მონიტორინგისათვის და შეფასებისთვის ხდება ინფორმაციის შეგროვება, რომლის კოორდინირებას უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კონკრეტულად ციფრული მენეჯმენტის პროგრამასთან მიმართებით მონიტორინგი ვერ განხორციელდებოდა, ვინაიდან პროგრამა გადის აკრედიტაციის პროცედურას. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ დაწესებულება ახორციელებს კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად: სტუდენტებისადაპროფესორ-მასწავლებლებისმიერდისტანციურსწავლებაზეგადასვლისპროცესისშეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, პერსონალის საქმიანობის შეფასება. აღნიშნული კვლევები საშუალებას იძლევა მოხდეს იმ საკითხების იდენტიფიკაცია, რომელიც საჭიროა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ბუნებრივია, მონაცემების სისტემური ანალიზი და მისი შედეგები საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განახორციელოს ცვლილებები პროგრამის და უნივერსიტეტის საქმიანობის განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; ○ კვლევის შედეგები; ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ციფრული მენეჯმენტი; ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ციფრული მენეჯმენტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	√			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	√			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	√			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მერაბ ხოხობაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით ქარცივაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ანი ხეცურიანი